პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# წითელი მხედარი

ფასი 3 კაპ.

კვირა, 9 მაისი 1926 წ.

ყოველდღიური გაზეთი

რედაქციის მისამართი: ტფილისი, ევანგულოვის ქ. ელსმენი 2—24.

—

განცხადების ფასი პირველ გვერდ. 80 კ. სტრ. 4 გვ. 40 კ.

100 (1095) | 1 და 2 ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | 100 (1095)

## ამიერ კავკასიის პარტორგანიზაციათა გაფართოებული თათბირისათვის

ამ ჟამად ქ. თბილისში მიმდინარეობს ამიერ კავკასიის პარტორგანიზაციათა გაფართოებული თათბირი.

ეს თათბირი, ჩვენი პარტიის ცხოვრებაში, ისეთ დროს შეიკრიბა, როდესაც ჩვენი ფედერაციის შინაური და გარეშე მდგომარეობა შედარებით წარსულ წლებთან ძლიერია და მაგარი.

თათბირის შეკრების, ან უკეთ მოწვევის მიზანი, მდგომარეობს იმაში, რომ ეს თათბირი ჯამს უკეთებს რა ამიერ კავკასიის პარტორგანიზაციათა წარსულ მუშაობას, იმავე დროს იგი შეეცდება დასახოს ახალი გზები მომავალი მუშაობისათვის.

მაგრამ უმთავრეს საყურადღებო საკითხათ ამ ყრილობაზე მაინც რჩება ის დიდი საკითხები, რომელიც ჯერ კიდევ საკავშირო კომ. პარტ. ცენტრ. კომიტ. აპრილის პლენუმზე იყო დასმული.

განსაკუთრებით ჩვენ გვსურს ხაზგასმით აღვნიშნოთ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება. ეს არის ის, რომ აპრილის პლენუმზე განსაკუთრებით აღნიშნული იყო ის ახალი მოვლენა, რომელსაც ადგილი აქვს ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში და რომელსაც პლენუმმა უწოდა ინდუსტრიალიზაცია.

ამ საკითხს, ამ ჟამათ მიმდინარე პლენუმი უთუოდ სათანადო ყურადღებას მიაპყრობს და მისი, ამიერ კავკასიის ცხოვრებაში გატარებისთვის სათანადო ზომების გამონახვას შეეცდება. გარდა ამისა საყურადღებოა ის, რომ ამიერ კავკასიის პარტორგანიზაციათა გაფართოებული პლენუმი, თუ როგორი გარდაწყვეტილებას მიიღებს ისეთი კამპანიის ჩასატარებლათ, როგორიც არის მომჭირნეობის კამპანია.

რასაკვირველია იგი გამონახავს ისეთ გზებს, რომელიც ჩვენი პარტიას გაუადვილებს ამ კამპანიის კარგათ ჩატარებას და მისი ცხოვრებაში განაღდებას.

ამას გარდა ეს პლენუმი უთუოდ საჭირო ყურადღებას მიაპყრობს, ჩვენი ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკათა კომუნისტური პარტიების ცენტრ. კომიტეტების მუშაობას და თავის რეზოლიუციებში დაგვანახებს იმ მიღწევებს, რომელსაც ადგილი აქვს ამ დარგში. ჩვენ კი ვუსურვებთ პლენუმს ნაყოფიერ მუშაობას, ჩვენი მუშურ-გლეხური ხელისუფლების გამაგრების საკეთილდღეოთ და იმედი გვაქვს ისეთი გზებს გამონახავს მომავალი მუშაობისათვის, რომელიც უფრო მეტათ უზრუნველყოფს ჩვენი ხელისუფლების გამაგრების და დაცვის საქმეს.

## მაროკოში ომი განახლდა

ინგლისის დიდმა საერთო გაფიცვებმა, რომელმაც მიიღო ფართო და ერთსულოვანი მასიური ხასიათი, სავსებით დაჩრდილა არა ნაკლებ მნიშვნელოვანი და საყურადღებო საერთაშორისო ამბები.

პოლონეთში გადადგა სკშინსკის კოალიციონური მთავრობა, ბელგიაში მთავრობის კრიზისია, საფრანგეთში თანდათან მწვავდება ფინანსიური საკითხი, რაც საფრთხეს უმზადებს ბრიანის მთავრობას და აძლიერებს მემარჯვენეების გავლენას.

კიდევ უფრო საყურადღებო ხდება მაროკოს ამბები. დეპეშების გადმოცემით ქ. უჯაში სამშვიდობო მოლაპარაკება საფრანგეთ-ესპანეთს და რიფებს შორის უკვე შესწყდა. საფრანგეთის ჯარებმა ბრძანება მიიღეს განაახლონ საომარი მოქმედება მთელ ფრონტზე.

საზავო მოლაპარაკების შეწყვეტის მიზეზი იყო ის, რომ რიფების წარმომადგენელთ შეუძლებლად მიაჩნდათ საფრანგეთ-ესპანეთის დელეგაციის მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ისინი მოითხოვდენ რიფებისაგან სრულს დამორჩილებას და აჯანყების მეთაურების განდევნას მოროკოდან, კერძოთ კი, აბდ-ელ-ქერიმის გაძევებას აჯანყებულთა საზღვრებიდან.

რასაკვირველია, ამ მოთხოვნილების მიღება მათთვის ყოვლად შეუძლებელი იყო, ვინაიდან ეს ნიშნავდა უარყოფას იმ უფლებებისას, რომელიც მათ მოიპოვეს ხანგრძლივი ბრძოლით და კვლავ იმპერიალიზმის უღლის დადგმას.

ერთა ლიგა კი, რომელიც თითქოს მოწოდებულია პატარა და ჩაგრული ერების დასაცავად, მას ამ შემთხვევაში ხმა არ ამოუღია. აბა, როგორ შეიძლება მან აწყენიოს საფრანგეთს, ჩაერიოს ამ მოლაპარაკებაში და მიემხროს რიფებს, როცა სამართლიანობა მის მხარეზეა. ეს ხომ იქნება დიდი საფრანგეთის შეურაცყოფა, რასაც რასაკვირველია, ვერასოდეს ვერ ჩაიდენენ ერთა ლიგის სულის ჩამდგმელნი.

მაშინ, როდესაც ინგლისის პროლეტარიატი, მთელი ქვეყნების მუშების დახმარებით, წინაღუდგა და ბრძოლა გამოუცხადა კაპიტალს, მაროკოში, საფრანგეთ-ესპანეთის იმპერიალისტების მიერ, ომის განახლება რიფების წინააღმდეგ, კიდევ უფრო მეტ გამოძახილს და თანაგრძნობას ჰპოვებს, როგორც აღმოსავლეთის ჩაგრულთა, ისე მსოფლიო მუშათა კლასის რიგებს შორის.

თ. განგენს.

# ახალი რადიო ამბები

## საყოველთაო გაფიცვები ინგლისში

### გაიფიცა თემთა პალატის ელექტრო-განათებაზე მომუშავენი

## ინგლისსა და გერმანიასშორის გემების მიმოსვლა შესწყდა

### „მსოფლიო ომში ნამყოფი 400 ათასი მუშა მზადაა ბრძოლისთვის“

## სხვა და სხვა ქვეყნის პროლეტარიატი მხარს უჭერს ინგლისის გაფიცულებს

### გაფიცულები და კოოპერაცია

ლონდონისა და სხვა ქალაქების ზოგიერთ რაიონებში საგაფიცვო კომიტეტები შეუთანხმდა საკოოპერაციო დაწესებულებებს გაფიცულთა სურსათით მომარაგების შესახებ.

### „ბრიტანელი მუშა“

მთავარი საბჭო ამჟამად უშვებს გაზ. „ბრიტანელი მუშა“-ს. 7 მაისს გასადა ამ გაზეთის ნახევარი მილიონი ცალი.

### თვითდაბეგვრა გაფიცულთა სასარგებლოდ

მუშები, რომლებიც მუშაობენ სახალხო მეურნეობის დარგებში და მათი გაფიცვა გენერალურ საბჭოს არ გადაუწყვეტია, შეუდგენ თვითდაბეგვრას გაფიცულთა სასარგებლოდ.

### რამდენს ზარალობს ინგლისის მეურნეობა გაფიცვით

ლონდონის ქუჩებს, პირველ ყოვლისა, ახასიათებს არეულობა მიმოსვლაში. გაზეთ „ტაიმსის“ ცალგვერდზე და ისიც საწერ მანქანაზე დაბეჭდილ გამოსვლამ, გაფიცვებზე უფრო შეაფიქრა ლონდონის მოქალაქეები. მთავრობის წევრებს იმედი აქვთ, რომ პროფკავშირებს არ ეყოფათ სახსარი ორ კვირას ზევითო. გამოანგარიშებით ერთი კვირის გაფიცვა დაუჯდება ინგლისის მეურნეობას 25 მილიონი გირვანქა სტერლინგი.

### თემთა პალატა უსინათლოთ

რეიტერის სააგენტოს ცნობით, საგაფიცვო კომიტეტმა მოხსნა სამუშაოდან თემთა პალატის ელექტრო-განათებაზე მომუშავენი.

### „მზად არიან ბრძოლისთვის“

პარლამენტს თათბირი ჰქონდა მთავრობის საგანგებო ზომებზე, რომელთა მიზანია ხელი შეუშალონ გაფიცულთა დარაჯების დაყენებას გზებზე.

მუშათა პარტიის ჯეკ ჯონსმა განაცხადა:

„ლონდონის აღმოსავლეთ ნაწილის 400.000 კაცი, რომლებიც მონაწილეობდენ მსოფლიო ომში, მზად არიან კვლავ შეამჭიდროვონ რიგები და იბრძოლონ“.

## მთავარ საბჭოს პიროვები.

6 მაისს პროფკავშირთა მთავარ საბჭომ მიიღო დადგენილება, რომელშიაც ნათქვამია:

„საბჭო მზადაა მოლაპარაკების განახლებაზე, მაგრამ უარყოფს მთავრობის მოთხოვნილებას—წინასწარ შეცვლილ იქნას გაფიცვა“.

## გაფიცვა 100 პროცენტით

შოტლანდიის რკინის გზებმა, ტრამვაიმ, ავტომობილებმა და გემთსაამშენებლოებმა, რომლებიც ემსახურებოდენ შოტლანდიის ხუთ ქვანახშირის მაღაროს, სრულებით შესწყვიტეს მუშაობა.

## პროპაგანდისა და მოქმედების საერთაშორისო კომიტეტის მოწოდება

პროპაგანდისა და მოქმედების საერთაშორისო კომიტეტი მიმართავს ყველა ქვეყნის სამთო-მადნო მუშებს შემდეგი მოწოდებით:

„ინგლისის მაღაროს მუშების წინააღმდეგ გაერთიანდენ ბურჟუაზიულ საზოგადოების ყველა ძალები. არმია, ფლოტი და პოლიცია გამოწვეულია გაფიცვის ჩასახშობად. გაფიცულები სდგანან დამიზნებულ თოფების წინაშე. ბურჟუაზია მზადაა ყოველ წუთს ფეხი გაუშალოს ჩახმახს. ბურჟუაზია სცდილობს ჩაახშოს გაფიცვა შემოტანილ ნახშირით. იყავით სადარაჯოზე. მოაწყვეთ კანტროლი ნახშირზე მაღაროებში. გაერთიანდით ტრანსპორტისა და რკინის გზის მუშებთან და არ დაანებოთ ნახშირის გაზიდვა. მზად იყავით გაფიცვით შეუშალოთ ხელი ნახშირის გაზიდვას თქვენი ქვეყნიდან. ყველა ქვეყნებში, ყველა მაღაროებში მოაწყვეთ შეწირულებათა დაგროვება ინგლისელ ძმების სასარგებლოდ“.

### ოსმალეთ-საბჭოთა ვაჭრობა

ოსმალეთის გაზ. „ლია რეპიუბლიკში“ მოთავსებულია საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობის ანგარიში. უკანასკნელ წლის განმავლობაში ოსმალეთში შესულა 3.963.996 ლირის ღირებულების საბჭოთა საქონელი; საბჭოთა კავშირში ოსმალეთს გაუტანია 9.842.999 ლირის საქონელი.

## გემების მიმოსვლა შეწყდა

ინგლისსა და გერმანიას შორის გემების მიმოსვლა სრულიად შეწყვეტილია.

ჰამბურგის (გერმანიაში) ნავთსადგურის მუშები უარს ამბობენ ინგლისის გემების დატვირთვაზე ნახშირით. მეზღვაურები უარს ამბობენ ინგლისის გემებზე სამსახურში შესვლაზე.

### ნახშირის ფასმა აიწია

ათინაში ინგლისის ნახშირის ფასმა აიწია. ერთი ტონი ღირს ოთხი შილინგი.

# საბჭოთა კავშირში

## მიწათმოქმედების სახ. კომისართა თათბირი

1 ივნისს მოსკოვში გაიმართება საკავშირო და ავტონომიურ რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისართა მესამე თათბირი.

## ელექტროფიკაცია საბჭოთა კავშირში

მთაველექტროს ცნობებით 1925—26 წლის ბოლოს მთელს საბჭოთა კავშირში იმუშავებს 9 ახალი ელექტრო სადგური. დაწყებულია მუშაობა 11 სადგურის ასაგებად.

## სოფლის მასწავლებლებს ნამდვილ სამსახურში არ გაიწვევენ

საკავშირო ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით, სოფლის პირველი საფეხურის, შვიდწლედებისა და გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების მასწავლებლები არ იქნებიან გაწვეული ნამდვილ სამხედრო სამსახურში, სანამ აღნიშნული პირები ხსენებული სკოლების მასწავლებლებად ითვლებიან.

# საქართველოში.

## მიწა უმიწაწყლო გლეხებს

ოზურგეთის მაზრის აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა გადასცეს ლანჩხუთის რაიაღმასკომს 80 ქცევა მიწა უმიწაწყლო გლეხთა შორის გასანაწილებლად.

ეს მიწა დარჩენილია სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის ლიკვიდაციის გამო.

## საჩვენებელ მინდვრებისთვის

აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა გადასცეს დუაბზეს თემს ყოფილ მემამულე კლდიაშვილისეული 12 დესეტინა მიწა საჩვენებელ მინდვრის მოსაწყობად.

# აჭარისტანში

## ტყის ხანძარი

7 მაისს, სოფელ მარადიდის რაიონში (ჭოროხის მაზრაში) იფეთქა ხანძარმა; რომელიც მოედო რამოდენიმე ათეულ დესეტინა ტყეს.

მაზრის აღმასკომმა გლეხობასთან ერთად მიიღო სასწრაფო ზომები.

## სამასწავლებლო კურსები

განათლების სახალხო კომისარიატი ქობულეთში ხსნის საზაფხულო განმეორებითი კურსებს მასწავლებელთათვის. კურსები ნაანგარიშევია 60 კაცისთვის.

## ოსმალ ჯომარდების ჩამოსვლისათვის

ამ დღეებში ტრაპიზონიდან ბათუმში ჩამოვა ოსმალ ჯომარდების ერთი ჯგუფი. სახკომსაბჭომ მათი შეხვედრის მოსაწყობად გადასდო 1.300 მანეთი.

# არ შემარცხვენ...

(ნაწყვეტები)

— ვინძლო, შვილო, პირნათლად შეასრულო შენი მოვალეობა...

არიგებდა შვილს, ანდრია და თან ჩიბუხს სტენიდა ქისაში თამბაქოთი.

— არ შეგარცხვენ მამა...

მიუგო ილამ და სიამოვნებით წამოწვა ვენახის ფერდობზე, ხევის პირას, სადაც შორი მთის აკოკრილ ძუძუებით გადმომჩქეფარე ჩანჩქერი ამწვანებულ ველებზე ვერცხლის სირმად ავლებით, ფლატეზე ოთურმას ვადადიოდა...

ფიქრებმა აიტაცა...

ლაპარაკი იყო ახალ გაწვევაზე...

ანდრიამ ვენახს დაუწყო ბარვა..

ილა, როგორც 1903 წ. დაბადებული დროებით, სამიოდე თვით შორდებოდა სოფელს, რათა წითელ ყაზარმის ამაყ ხმაურში აემღერებია ახალი ნება..

მწვანე ხავერდის ქულაჯით გადმომდგარ მაისს ყურთმაჯები მხარს გადეგდო, და ყვავილები აებნია ზედ წითელ ღილებად...

ვარდისფერ ღიმილს უკოცნიდა ატლას ლოყება მზის ავარაყება, რომელიც თავის აბრეშუმის თმებს ელვარ ჯიღად აღგავდა თავზე...

გაზაფხულის ნექტარით ასალბუნებული ბუნება ისწორებდა ზამთრით დაზრულ კუნთებს...

სიხარულის ფრთათა გაშლა მღერდა მარადიულ ძლევით...

ლაჟვარდ ცის ლურჯ სარკეში მოსჩანდა წითელი დროშის ლეგენდა...

და...

ჩაქუჩის გრდემლზე ცემა, ნამგლის გამოსაქანდაკებლად, რომლის დროს ხუთქიმა ვარსკვლავის სახით ცვიოდა ნაპერწკლები, ირგვლივ...

— დიაღ, ჩვენ მივიტანთ ამ ლამაზ გამოხედვას გამარჯვების ალმოდებულ საზღვარზე ურჩი ყიჟინით...

მოსწყდა ილას ტუჩებს ნეტარ ღიმილით, წამოდგა და ბარს წამოავლო ხელი...

მამას ამოუდგა გვერდში...

ილა სოფლის თვალი, განვითარებული, ყველას საყვარელი...

ხვალ ის უკვე ამხანაგებთან ერთად გაუდგება გზას...

მათი სიმღერა შესძრავს არეს...

ის ყოველ შეძენილ ცოდნას დააგვირგვინებს სამხედრო საქმის შესწავლით, და...

მაშინ კი...

— ვაი ჩვენი ლამაზი კომუნის მტრებს!

გაიფიქრა ზარმცემ შეტევით...

— მაგრამ, ის?

ილა შეჩერდა...

— ჰა, შვილო ჩამომრჩი?

გამოეხმაურა ანდრია, ღიმილით, რა ბარვაში წინ წასულმა შეამჩნია შვილის დაფიქრება...

ილა გამოერკვა, ღიმილი მოსწყდა და დარცხვენით დაჰკრა ბარი დედამიწის გულს...

მისი დაფიქრების მიზეზი იყო თინა...

მისი ალანდება თვალწინ აეტუზა..

მათ ხომ პირობა აქვთ მიცემული ერთმანეთისთვის?

— ვაი თუ არ მომიცადოს?

ღელავდა...

და, აქ გაახსენდა წუხანდელი შეხვედრა მასთან, სკოლის აივანზე...

— ხომ არ მიღალატებ? ხომ დამელოდები?

— ილა, საყვარელო ილა, ამა რას მეუბნები?

— ო, თინა!..

— ილიკო!..

და, ვნება აფორიაქებული ტუჩების ჩაკონებით შესწყდა ავარდებული საუბარი...

მიუხედავად უმთვარო ღამისა, ფრთხილი ყური გაიგონებდა ამ სიტყვებს და მახვილი თვალი შეამჩნევდა უსურვაზივით ჩახვეულ ორ ახალგაზრდას...

და, რა ეს გახსენება წარმოუდგა წინ, შერცხვა თავის ეჭვიანობის, ბარი უფრო მძლავრად ჩაესო მიწას...

— მივდივართ ამაყ სიმღერით
ყველანი წითელ ჯარშია;
სისხლისფერ დროშის სიმთქღერით, —
მუშებს უდგევართ მხარშია...

—

თავისუფლების ყიჟინით, —
ავატოკებთ ველს და სერსა;
ბრძოლებში დამრტყმელი ქინით
მტრებს გადავუგრეხთ კისერსა...

—

ალილინდა...

სიო საამო ანცი სისინით უვარცხნიდა წინ გადმოყრილ ქოჩორს...

ს. ერ—ლი.

# განაკად გასვლის წინ

### შაშხანის მოვლის მოკლე დარიგება

### მანახე შენი შაშხანა და გეტყვი როგორი მსროლელი ხარ

სულ რამოდენიმე დღე და ჩვენი მსროლელებიც განაკად გავლენ. ვინაიდან მსროლელს მოუხდება შაშხანით ხელში მეცადინეობა სულ სხვა პირობებში, ვინემ ყაზარმაში, საჭიროა განმავრტოთ მთავარი მომენტები შაშხანის დაცვა მოვლისა:

1. მინდვრად ტაქტიკურ მეცადინეობისა და გადარბენის დროს ნუ დააგდებ შაშხანას მიწაზე, გაუფრთხილდი საკეტს ქვიშისა და ტალახისაგან. დაუდევრად დაგდებულ შაშხანას შეიძლება გაედრიკოს ხიშტი, კორას ჩარჩო და მოენგრეს ნიშანი. ნუ ატარებ შაშხანას ლულით მიწისკენ, — ვინაიდან გამტვერიანდება ლულა.

2. ჯოჯგინად შაშხანების დაყენების დროს გასინჯე, სწორადაა თუ არა სალტე და ნუ დააყენებ დაწესებულ რაოდენობაზე მეტს.

ჯოჯგინად დაყენებულ შაშხანების ახლოს ნუ დაიწყებ რბენასა და თამაშს.

3. საგუშაგოზე დგომის დროს ნუ სჩიჩქნი მიწას ხიშტით, ნუ სცემ კონდახს მიწაზე.

4. როცა სასროლად მიდიხარ, ნუ დაუცობ შაშხანის ლულას: გაგავიწყდება საცობის ამოღება, გაისვრი და გააფუჭებ შაშხანას — ლულა გაიბერება.

5. თუ გიმტყუნოს ვაზნამ, მეორეხელ ნუ გაუშლი ფეხს, გამოიღე ვაზნა უკან.

6. ჭუჭყიან ან შეჭყლეტილ ვაზნას ნუ ჩასდებ თოფში, თუ რომ ვაზნა არ მიდის სავაზნეში, ძალას ნუ დაატან.

7. საკეტის დაკეტის დროს, საკეტის რქა კარგად გადააჭდე მარჯვნივ, თუ ასე არ მოიქცევი, არ გავარდება, გიმტყუნებს.

8. შაშხანას თუ გასროლის შემდეგ სწმენდ, ჯერ გამოამშრალე ლულა ერთხელ, გამოსწმინდე დენთის დანალექი.

9. თუ რომ სროლის დროს წვიმამმოგის წრო, სროლის შემდეგ აუცილებლად გამოწმინდე ლულა, ვინაიდან წყალი და სინესტე ლულაში, თუ ის გამომშრალებული არ იქნა, იწვევს სროლის დროს ლულის გაბერვას.

10. ყოველთვის თან გქონდეს კარგად შენახული საწმენდი მოწყობილება, ჩვარი, ძენძი და სხვა.

თვალყური ადევნე, რათა ვაზნები ყოველთვის წესიერად იყოს შენახული; არ უნდა იხმარო შეჭყლეტილი ან დენთნაკლული ვაზნა.

ზემოჩამოთვლილი, რასაკვირველია, არ ამოსწურავს ყველაფერს, რაც უნდა იცოდეს მსროლელებმა, რომ იარაღს მოუფრთხილდეს. მაგრამ ესენი უმთავრესია და დიდი გავლენა აქვს შაშხანის ვარგისობაზე.

თვითეული მეომარი უნდა გაიმსჭვალოს შეგნებით, რომ იარაღის დაცვა და მისი მოვლა თავიდათავია მეომრის სასროლო მომზადების საქმეში.

კარგი შაშხანა აძლიერებს მეომრის რწმენას მასში (შაშხანაში) და უზრუნველყოფს წარმატებას ბრძოლაში.

ს. ბ.

**ამხ. ამხ. წითელარმიელებო გამოიწერეთ, და გაავრცელეთ თქვენი გაზეთი „წითელი არმიელი“**

# ჩვენი მრეწველობის საჭირბოროტო საკითხები *)

მთავარი მიზეზი ამ მდგომარეობისა უნდა ვეძებოთ გლეხის მყიდველობითი უნარიანობის გაზრდაში, რომელიც თავისთავად შედეგია მრავალი მიზეზებისა. ერთი მხრივ გლეხობის ხელში მიწების დაგროვება, რომელმაც ხელი შეუწყო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამრავლებას, მეორე მხრივ გლეხობის ვალისაგან განთავისუფლება, როდესაც მას უნდა გადეხადა მეფის ვალის სახით რამოდენიმე მილიარდი მანეთი და მესამე მხრივ სასოფლო-სამეურნეო ხარკის შემცირება ხელისუფლების მიერ. აი ის სამი მთავარი მიზეზი, რომელმაც ხელი შეუწყო გლეხის მყიდველობითი უნარის გაზრდას და აქედან დაიბადა გლეხობისაგან ზედმეტი მოთხოვნილება ქალაქის წარმოების პროდუქციაზე. გაჩნდა თითქოს ისეთი მდგომარეობა, რომ ქალაქის წარმოება ვეღარ აკმაყოფილებდა სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებას, თუმცა ქალაქის მეურნეობის პროდუქცია იზრდებოდა დაწყებული 1923 წ. ვიდრე 1926 წლამდე. მთავარი მოთხოვნილების საგანი გლეხურ მეურნეობაში ეს არის საქსოვ წარმოებისა და ქიმიურ წარმოების პროდუქცია. ავიღოთ საქსოვი წარმოება — ჩითის დამზადება.

1923—24 წ. ჩითი და სხვა საქონელი იქნა დამზადებული 835.505 მეტრისა (მეტრი უდრის 1,406 არშინს).

1924—25 წ. იქნა დამზადებული 1.610.000 მეტრისა. თანახმად გეგმისა 1925—26 წ. უნდა იქნას დამუშავებული 2.170.000 მეტრი ქსოვილი, რაც შეადგენს 134 პროც. შედარებით 1924—25 წლის დამუშავებასთან.

სელის ქსოვილები იქნა დამზადებული:

1923/24 წ.—114.1 ათასი მეტ.
1924/25 წ.—126 „ „
1925/26 წ.—142 ათასი მეტრი, რაც შეადგენს 112 პრ. შედარებით 1924—25 წლის დამუშავებასთან.

ბაწარი და სხვა ასეთი პროდუქცია იქნა დამუშავებული:

1923—24 წ.—0,7 მილ. ფ.
1924—25 წ.—0,85 მილ. ფ.
1925—26 წ. უნდა იქნას დამუშავებული 0,91 მილ. ფუთი, რაც შეადგენს 107 პროცენტს 1924—25 წლის დამუშავებასთან.

ავიღოთ ასანთის დამუშავება, რომელიც ჩვენი გლეხის უსათუოდ დიდ მოხმარების საგანს შეადგენს:

1923—24 წ. იქნა დამუშავებული 1.884 ყუთი.
1924—25 წ. „ 3.100 ყუთი.
1925—26 წ. უნდა იქნას დამუშავებული 3.400 ყუთი, რაც შეადგენს 110 პრ. 1924—25 წლის დამუშავებასთან შედარებით.

ასეთივე ზრდა ეტყობა ფეხსაცმელების წარმოებასაც. ასე მაგალ. ფეხსაცმელები იქნა დამუშავებული:

1923—24 წ.—4.370 წყვ.
1924—25 წ.—7.000 წყვ.
1925—26 წ. უნდა იქნას დამუშავებული 9.500 წყვილი, რაც შეადგენს 136 პროც. 1924—25 წლის დამუშავებასთან.

ასეთივე მდგომარეობაა თითქმის წარმოების ყველა სხვა დარგებში, გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ შპაგატის დამუშავების წარმოება, სადაც თანახმად გეგმისა, უნდა წარმოება შემცირდეს 96,5 პროც. 1224—25 წელთან შედარებით. ეს მდგომარეობა აიხსნება ამ პროდუქციაზე ნაკლები მოთხოვნილებით.

როგორც ამ რიცხვებიდან დავინახეთ ჩვენი წარმოების ყველა დარგი იზრდება, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევებში ჯერ კიდევ არ არის მისული ომის წინანდელ ხანასთან.

როდესაც ომის წინანდელ ხანას გაუთანასწორდება და გადასცილდება, მაშინ უკვე დაისმება საკითხი ჩვენი წარმოების გადაკეთების შესახებ, რომ მან განსაზღვრული თანხის დახარჯვით მოგვცეს უფრო მეტი სამეურნეო დოვლათი, ვიდრე ის ამას თანამედროვე მოწყობილებით იძლევა. ამისთვის პარტიის ყრილობის რეზოლიუციის ერთი მუხლი ლაპარაკობს: ც. კ. ევალება „გაშალოს ჩვენი სოციალისტური წარმოება ახალი ტეხნიკურ მოწყობილებათა აწევით, მაგრამ სასტიკ შეფარდებით, როგორც ბაზრის მოთხოვნილებისა, ისე აგრეთვე სახელმწიფოს ფინანსიურ შესაძლებლობასთან“. ეს არის მთავარი საკითხი ჩვენი მრეწველობისა.

თუ ჩვენ ვერ შევძელით ახალ ტეხნიკურ ნიადაგზე ჩვენი წარმოების დაყენება, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მივიღებთ იმგვარ მდგომარეობას, როგორც იყო 1923 წელში. ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ, თუ რა ზომებია ამ მხრივ ხელისუფლების მიერ მიღებული.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი ჩვენი წარმოებისა არის საკითხი საქონლის გატანის შესახებ. ეს საკითხი მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი ქვეყანა ნედლი მასალის დამმუშავებელი ქვეყანაა და ამდენათ საერთაშორისო ვაჭრობაში ის გამოდის, როგორც ნედლი მასალის გამტანი. რომ დავაკვირდით ციფრებს სხვა და სხვა ნედლი მასალის გატანის, დავინახავთ შემდეგს:

პური იქნა გატანილი:

1923/24 წ. 156.619 ათასი ფ.
1924/25 წ. 10.526 „ „

პურის გატანა მოსავლის შემცირების გამო შემცირდა საგრძნობლად. 1925—26 წელში უნდა გატანილ იქნას 800.000 ათასი ფუთი. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ საერთაშორისო ვაჭრობაში დავიკავებთ მეტად დიდ ადგილს.

მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი წარმოებისათვის შრომის ნაყოფიერების ზრდას, ვინაიდან შრომის ნაყოფიერების ზრდა თუ ჩამორჩა სამუშაო ხელფასის ზრდას, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი მრეწველობა ვერ შესძლებს ძირითადი თანხის შენარჩუნებას, მას მოუხდება ძირითად კაპიტალის ხარჯზე არსებობა. შრომის ნაყოფიერების გაზრდა კი თავისთავად დამოკიდებულია შრომის ინტენსივობაზე და მანქანების გამრავლებაზე. რომ ავიღოთ ციფრები, შრომის ნაყოფიერების გაზრდის შესახებ, ჩვენ მივიღებთ შემდეგს:

ქვანახშირის დამმუშავებელ მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება იზრდებოდა შემდეგნაირად:

საშუალო რაოდენობა პროდუქციისა 1 მუშაზე თვის განმავლობაში იყო:

1923—24 წ.—428 ფუთი.
1924—25 წ.—522 ფუთი.
1925—26 წ.—უნდა იქნას 701 ფუთი.

—ლია.

*) იხ. ჩვენი გაზეთი № 99 (1094).

# 1-ლ ქართულ მსროლელ დივიზიის უპარტიო წითელ არმიელთა მე-6-ე კონფერენცია

## კონფერენციის ანგარიში

3-მე სხდომა გაიხსნა საღამოს 5 საათზე წ/არ. დევდარიანის თავმჯდომარეობით. საბჭოთა ადგილობრივ ორგანოების მუშაობის და ჩვენი მეურნეობის მდგომარეობის შესახებ, მოხსენებას აკეთებს თბილისის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტიდან ამხ. **მესხი.**

**ამხ. აღნიშნავს შემდეგს:**

1). აღმასკომის ქვე-განყოფილებები: თბილისის მაზრის აღმასრულებელი საბჭო დაყოფილია რამოდენიმე სექციებათ. სექციების მუშაობა ერთის მხრივ ხასიათდება იმით, რომ მან უნდა შეუთანხმოს თავისი მუშაობა ყველა არსებულ სექციებს და სათემო სასოფლო საბჭოს მუშაობას და მეორეს მხრივ კი ცოცხალი კავშირი იქონიოს მაზრის სხვა და სხვა სათემო და სასოფლო საბჭოს მუშაობასთან და საქმიანობასთან. აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმში შედის 15 წევრი. ამათ შორის არის წარმომადგენლები პროფესიონალურ კავშირიდან, წ/არმიიდან, განათლების, ჯანმრთელობის, საფინანსო და სხვა განყოფილებებიდან, რომლებიც უშუალოთ მონაწილეობენ აღმასრულებელი კომიტეტის, რომელიმე სექციაში. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ თბილისის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტს, რომელიც აერთიანებს 11,000 მუშა მოსამსახურეს საანგარიშო ხნის განმავლობაში მოუხდა უდიდესი ყურადღება მიექცია განათლების, ჯანმრთელობის, კომუნალურ, ადმინისტრატიულ, საუწყებო კონტროლის, წყალსადენის, ტრამვაის, ქალაქის გამშვენიერების და საერთო ეკონომიურ აღორძინების საქმეს.

**2) განათლების დარგში.**

წარსული წლის 9 მილიონი ბიუჯეტიდან 17% მოხმარდა სწავლა განათლების საქმეს. წარსულ წელთან შედარებით ამ დარგში იქნა უდიდესი მიღწევა აღმასრულებელ კომიტეტის. არც ერთი მუშა მოსამსახურეს შვილი არ არის შრომის სკოლების გარეშე. გაზრდილ იქნა შრომის სკოლების რიცხვი. გაიზარდა წარსულ წელთან შედარებით მასწავლებლობის რიცხვი და მათი მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. თბილისის მაზრის მიდამოებში გადიდებულ იქნა წ/კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო პუნქტები, რომლებიც მოკლე ხანში დაამთავრებს მუშაობას და გამოუშვებს 17.000 ახალგაზრდობას.

გახსნილ იქნა 58 ქოხ-სამკითხველო, რომელსაც გაეგზავნა 40,000 ცალი ლიტერატურა. გამშვენიერებული იქნა და შეკეთებული ყველა კულტურულ ფრონტზე შენობები და მოხდა მომუშავეთა ღირსეული შერჩევა, რამაც წინ წაიყვანა ჩვენი სოფლების კულტურული საქმე. აღმასკომს მომავალ მუშაობაში მიზნათ აქვს დასახული რათა მეტათ გააძლიეროს ულარიბეს გლეხობის ახალგაზრდობის აღზრდის და ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებისსაქმე.

**3) ჯანმრთელობის დარგში.**

არა ნაკლები მიღწევები აქვს თბილისის აღმასკომს ჯანმრთელობის დარგში. ყველა სოფლებში თითქმის შექმნილია საფერშლო პუნქტები. ეძლევა საექიმო დახმარება ყველა ულარიბეს გლეხობას,

მომუშავეები, ჯამრთელობის დარგში წინა წლებთან შედარებით მეტი კვალიფიკაციურია. აგრეთვე ჯანმრთელობის დარგში მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ზედმეტი შტატები, რომლებიც ამძიმებდა ჩვენს ბიუჯეტს იქნა შემცირებული და გაუქმებული იქნა რამოდენიმე უმნიშვნელო და არა საჭირო შტატები.

**საუწყებო კონტროლის დარგში.**

საუწყებო კონტროლმა კიდევ უფრო გაამარტივა აღმასკომის მუშაობა და უდიდესი სიმტკიცე და ყურადღებობა გამოიჩინა გამფლანგველობის და არა სწორ ხარჯების წინააღმდეგ. საუწყებო კონტროლის მიერ აღმოჩენილ იქნა 350,000 მანეთი არა სწორად დახარჯული თანამშრომელების მიერ და მრავალი, თანამდებობის ბოროტათ გამომყენებელი, პასუხისგებაში იქნა მიცემული.

მომხსენებელმა აღნიშნა მთელი რიგი მიღწევებისა ადმინისტრატიულ, წყალსადენის, ტრამვაის, საადგილმამულო და სხვა ფრონტზე. განსაკუთრებით ყურადღებას აქცევს აღმასკომის საქმიანობიდან ელექტრო სადგურის შენება.

გასულ მიღწევების აღნიშვნასთან ერთად ამხ. მესხი მომავალ მუშაობის გეგმებს აცნობს კონფერენციას.

შემდეგ მომხსენებელმა გასცა პასუხი მრავალ შეკითხვებს, რის შემდეგ დაიხურა მესამე სხდომა.

## 4-ე სხდომა

**მოხსენებები ადგილებიდან**

სხდომა გაიხსნა დილის 8 საათზე. თავმჯდომარეობდა ამხ. წულუკიძე.

საარტილერიო ლეგიონში საზამთრო პერიოდში წარმოებულ მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა წითელ მოლაშქრე—ამხ. **დევდარიანმა.** თანამომხსენებლად გამოვიდა ამხანაგი **მამალაძე.**

მოხსენების წინ წაკითხული იქნა არტლეგიონის უპარტიო წითელ არმიელების ნაკაზი—კონფერენციისადმი. ამხანაგები დაწვრილებით შეეხენ საკითხს და კონფერენციას მისცეს ნათელი სურათი ნაწილში ზამთრის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ.

**საზამთრო მუშაობა წარმატებით დამთავრდა.**

ყველა ფორმები ჩვენი მუშაობისა ჩაყენებულია ნორმალურ კალაპოტში. ნაწილი თავიდანვე ენერგიულად შეუდგა საზამთრო პროგრამის მიხედვით მეცადინეობას და კიდევაც შევსძელით მისი მთლიანად ამოწურვა. პროგრამის მიხედვით არ დაგვრჩენია არაფერი გაუვლელი. შეცდომები იყო მაგრამ გამოვასწორეთ.

არ გვაქვს უფლება ვსთქვათ, რომ ჩვენი მუშაობის პროცესში ადგილი არ ჰქონდა შეცდომებს, არანორმალურ მოვლენებს, მაგრამ მათ თავის დროზე ასწორებდა, დროზე ექცეოდა ყურადღება სათანადო თათბირების მოწვევით, რაც ძირეულად იხილავდა ჩატარებულ მუშაობას. დაშვებულ შეცდომების გაკვეთილებით გზას ვიკაფავდით მომავალ მუშაობაში.

**დისციპლინა მტკიცეა**

პირველ ხანებში ადგილი ჰქონდა თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც უდისციპლინობას, დეზერტირობას, რის გამომწვევ მიზეზათ ცნობილი იქნა ზოგიერთ ამხანაგის უკანონოდ გამოწვევა წითელი ჯარის რიგებში, ზოგიერთ ამხანაგების ოჯახების უნუგეშო მდგომარეობა, ჩვენი ქვეყნის ადგილ. საერთო პირობები და ზოგიერთ შემთხვევებში თვით მეთაურთა მიერ დისციპლინარული პოლიტიკის არა სწორად გატარება და სხვა.

ამ ჟამათ ამ მოვლენების გარშემო სათანადო ზომების მიღების გამო, მდგომარეობა 100 პროც. არის გამოსწორებული.

**საბანაკო ცხოვრებას მტკიცე რიგებით ვხვდებით**

ამნაირად ლეგიონს ბევრი მიღწევები აღმოაჩნდა თავის მუშაობაში. წითელ არმიელთა მთელი შემადგენლობა მტკიცედ სდგას თავის სადარაჯოზე, რომ სათანადო ცოდნა მიღებული გავიდეს ბანაკში და ზამთრის მუშაობის მიღწევები საბოლოოდ დააგვირგვინოს პრაქტიკულ გამოცდილებათა მიღებითაც.

მომხსენებლებს მრავალი შეკითხვები მისცეს დელეგატებმა, რომლებზედაც დამაკმაყოფილებელი პასუხი იქნა გაცემული. კამათი მოხსენების გარშემო გადაიდო ადგილებიდან მოხსენებების შემდეგისათვის.

დასასრულ პასუხი გაეცა 3 სხდომაზე მოსმენილ მოხსენებების გარშემო მიცემულ შეკითხვებს და ამით დაიხურა კონფერენციის 4 სხდომა.

ნეს; მაგრამ სათანადო ზომების მიღებით ლეგიონში აღმოფხვრილი იქნა ეს მოვლენები.

ამჟამად მათ ადგილი არა აქვთ ნაწილში და ყველანი გამსჭვალული არიან თავისი მოვალეობის მტკიცედ ასრულების შეგნებით. თუ კიდევ ძლიერ იშვიათად, მაგრამ მაინც აქვს მას ადგილი, ვფიქრობთ, რომ წითელ არმიელთა საერთო განვითარების დონის აწევით, ის ძირბუდიანათ აღმოიფხვრება.

**საერთო პერსპექტივები კარგი გვაქვს**

ამნაირად ზამთრის პერიოდში ჩატარებული მუშაობა სრულ გარანტიას გვაძლევს იმისა, რომ დასახულ ამოცანას ნაწილი ბრწყინვალედ გადასჭრის, მომავალში მუშაობის კიდევ უფრო გაღრმავებით და იმედი გვაქვს, რომ საჭიროების დროს შეგნებული, სამხედრო ცოდნით აღჭურვილი და მტკიცე რიგებით დავირაზმებით მუშურგლეხური ხელისუფლების დასაცავად. კონფერენცია იმედია კიდევ უფრო გაარკვევს აქეთკენ გზას და სათანადო მითითებებით გაგვიადვილებს მომავალში მუშაობის წარმოებას.

ამით დამთავრდა მოხსენებები ადგილებიდან. კამათისათვის ჩაეწერა 30 ამხანაგი, რომელიც გადაიდო შემდეგი სხდომისათვის.

## მე-5 სხდომა

სხდომა გაიხსნა საღამოს 5 საათზე 1-ლ ლეგიონის წითელ არმიელის ამხ. ბურჭულაძის თავმჯდომარეობით.

მოსმენილი იქნა პირველ ლეგიონის წითელ არმიელების ნაკაზი კონფერენციისადმი და შემდეგ კი წ. არმიელ ორაგველიძის საანგარიშო მოხსენება ლეგიონის მუშაობის შესახებ ზამთრის პერიოდში.

**საზამთრო პროგრამა სრულიად გავლილია**

ლეგიონმა—ამბობს მომხსენებელი—არაჩვეულებრივი ენერგიულობა გამოიჩინა ნაწილში წარმოებულ მუშაობის ყველა დარგებში. მთელი შემადგენლობა იშვიათი გულმოდგინეობით ეკიდებოდა მუშაობას და საბოლოოდ ამან კარგი შედეგების წინაშე დაგვაყენა. დიდი მიღწევებია, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური საგანმანათლებლო და სხვა დარგებში. ამ მხრივ ჩვენ თამამად გამოვდივართ კონფერენციის წინაშე, რადგან მთელი ასი პროცენტით შესრულებული გვაქვს სამუშაო.

**აღარა გვყავს არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი**

წერა-კითხვის უცოდინარებთან, რომელიც საკმაო რაოდენობით იყვენ ჩვენს ლეგიონში, დიდი მუშაობა სწარმოებდა. ნაწილმა შესძლო მთლიანად მათი მომზადება და გამოშვება. ამ ჟამად ლეგიონში არა გვყავს არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი ამხანაგი.

**პოლიტიკური მომზადებითაც ძლიერი ვართ**

წერა-კითხვის უცოდინარეობის ლიკვიდაციასთან ერთად შევსძელით პოლიტიკური უცოდინარეობის მოსპობაც. ჩვენი წითელ არმიელები საკმაოდ არიან გარკვეული ამ მხრივ. თანდათან იზრდება მათი ინტერესი პოლიტიკური საკითხებისადმი და ბევრი გულმოდგინეთ ეკიდება ლენინიზმის შესწავლასაც.

**შეცდომებს თავის დროზე ექცევა ყურადღება**

მუშაობის პროცესში ვერ ვიტყვით, რომ არ გვქონოდეს შეცდომები, მაგრამ შემჩნევისთანავე აქეთკენ გადადიოდა საქმიანობის მთელი სიმძიმის ცენტრი და დაუყონებლივ სწორდებოდენ. ასეთი მოვლენის დროს გაერთიანებულად მოქმედებდენ ლეგიონის მთელი შემადგენლობა, მეთაურიდან დაწყებული—წითელ არმიელამდე.

**ხელს გვიშლიდა ლიტერატურის უქონლობა**

პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის წარმოება გვიძნელდებოდა, რადგან ღარიბი ვიყავით და ასეთივე მდგომარეობაა ეხლაც, ქართული ლიტერატურით. მიუხედავად ამისა საქმე წარმატებით შესრულდა, მაგრამ დაგვჭირდა ზომაზე მეტი ენერგიის დახარჯვა. ამ საკითხს უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს მომავალში.

**დისციპლინა თანდათან მტკიცდება**

პირველ ხანებში ლეგიონში ადგილი ჰქონდა დისციპლინის დარღვევის ზოგიერთ შემთხვევებს. იშვიათად დეზერტირობასაც. ჩვენთანაც ის მიზეზები იწვევდა ამ მოვლენებს, როგორც არტლეგიონიდან გამოსულმა მომხსენებლებმა აღნიშ-

## ბათომი.

ბათომის გარნიზონში მყოფ 1-ლ ქართ. მსროლ. დივიზიის ნაწილების უპარტიო წითელარმიელთა მე-6 კონფერენცია გაიხსნა 4 მაისს. კონფერენციის გახსნას დაესწრენ ადგილობრივ სამოქალაქო და პარტიულ ორგანიზაციების წარმომადგენლები. კონფერენცია ნაშვადღევის ორ საათზე გახსნა 2 ლეგ. სამხკომმა ამხ. ელიაშვილმა, რომელიც მიესალმა დელეგატებს და უსურვა ნაყოფიერი მუშაობა.

არჩეული იქნა კონფერენციის პრეზიდიუმი 21 კაცის შემადგენლობით. საპატიო წევრებათ კონფერენციამ ერთხმად აირჩია: ამხ. ამხ. **სტალინი, მახარაძე, ცხაკაია, ორჯონიკიძე, ვოროშილოვი, ტროცკი, ლევანდოვსკი, კალინინი და მარიამ ორახელაშვილისა.**

**მისალმებები.**

პირველი მისალმებით გამოვიდა აჭარისტანის ცაკის თავმჯდომარე ამხ. **სურმანიძე,** რომელსაც ოვაციებით შეეგება მთელი კონფერენცია. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდენ აგრეთვე რევსაბჭოს წევრი ეფიმოვი და ადგილობრივ რუსულ დივიზიის სამხკომი ამხ. კაზლოვსკი, რომელმაც განაცხადა:—წითელი არმიის მოვალეობაა დასავლეთის კაპიტალიზმის დამხობა და აღმოსავლეთით კი დრომოჭმულ ფეოდალიზმის. გისურვებთ ამაში პირადათ შეგეტანოთ ყველას თქვენი წვლილიო". ამხანაგის სიტყვები მქუხარე ტაშმა დაფარა.

შემდეგ მიესალმენ კონფერენციას ადგილობრივი საბჭოთა და უპარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლები, ბოლოს დივიზიის წარმომადგენელი ამხ. ჭაავა და ლეგიონის თავი ამხ. თავაძე.

დასასრულ დელეგატების საპატივსაცემოთ დაიდგა პიესა—„გეგეჭკორი".

**მე-2 სხდომა.**

კონფერენციის მეორე სხდომა გაიხსნა მეორე დღეს დილით, რომელზედაც საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობაზე მოხსენება გააკეთა აჭარის ცეკას აგიტპროპის წარმომადგენელმა ამხ. ბედიამ. მომხსენებელი დიდ ხანს შეჩერდა განსაკუთრებით ჩვენი რესპუბლიკების პოლიტიკურ და ეკონომიური ფრონტების სიმტკიცეზე; მოხსენებამ მრავალი შეკითხვები გამოიწვია, რომლებზედაც დაწვრილებით პასუხი იქნა გაცემული.

ადგილობრივ საბჭოს სამეურნეო მდგომარეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხანაგი ჯორბენაძე.

ორივე მოხსენებებზე ამავე სხდომაზე იქნა გამოტანილი რეზოლიუციები.

**მესამე სხდომა.**

მესამე სხდომა მოუნდა ადგილებიდან მოხსენებებს. წითელარმიელები გამოდიოდენ და აღნიშნავდენ, თუ როგორი წარმატებით ტარდებოდა ნაწილებში საზამთრო მუშაობა. საერთო შთაბეჭდილება მოხსენებებიდან ძლიერ დამაკმაყოფილებელია. საზამთრო პროგრამების განვლა, დისციპლინა და სხვა თავის დონეზე სდგას.

## მალე დავამთავრებთ მუშაობას

**მე-2 ლეგ. 9 ასეული**

ასეული თავდაუზოგველად აწარმოებს მუშაობას ბანაკის მოსაწყობათ. ყოველ ღონისძიებას ვხმარობთ, რომ პირნათლად შევასრულოთ ლეგიონის დავალება დავახვედროდ მას სრულიად მოწყობილი ბანაკი. წითელ არმიელები წინასწარ იყვენ გაცნობილი თუ როგორ უნდა ეწარმოებიათ მუშაობა, რისთვის მიექციათ უმთავრესი ყურადღება და ამიტომ წარმატებით სწარმოებს მუშაობა.

ორი დღე კიდევ და კარვების დადგმის მეტი აღარა იქნება საჭირო.

გაცილებით უკეთესად მოწყობილი ბანაკი გვექნება წელს ვინემ იყო შარშან.

სამხკომი შ. აზიკუროვი.

# ფოტოგრაფ მიჩნიკის მოღვაწეობის 35 წელი.

ფოტოგრაფ მიჩნიკს კარგათ იცნობს ქართული ჯარი. გაბჭოების დღიდან იგი ითვლება ქართული ჯარის პოლიტ-



ამხ. მიჩნიკი

განყოფილების ფოტოგრაფათ. ამ ხნის განმავლობაში იგი დაუღალავად მუშაობდა და ამ ჟამადაც მუშაობს ჩვენი ჯარის ნაწილებში.

არ ყოფილა არც ერთი ღირსშესანიშნავი შემთხვევა ქართული ჯარის ნაწილებში, რომელიც არ აღებეჭდოს ამხ. მიჩნიკს.

იგი მუშაობდა არა მარტო თბილისში, არამედ სხვა ადგილებშიც. პოლიტგანყოფილების და ნაწილების დავალებით იგი მიდიოდა პროვინციაში (ქუთაისი, ბათომი, თელავი და სხვა) და დავალებებს ასრულებდა პირნათლად.

მისი მეოხებით შექმნილია ქართული ჯარის ისტორია დღიდან დაარსებისა ფოტოგრაფიულ სურათებში, რომელიც წარმოადგენს ძვირფას მასალას მომავლისათვის.

დღეს ამხ. მიჩნიკის მოღვაწეობას უსრულდება 35 წელი.

ჩვენ ვესალმებით მას და ვუსურვებთ ასევე ენერგიულად განეგრძოს მოღვაწეობა შემდეგშიაც.

ელეაზარი.

# მოვსპეთ წერა-კითხვის უცოდინარობა.

მე-4 ლეგ. 9 ასეული.

ასეულში თავიდანვე დიდი ყურადღება ექცეოდა წერა-კითხვის უცოდინარეობის ლიკვიდაციის საქმეს. უკანასკნელ ხანებამდე სწარმოებდა უცოდინარეებთან მეცადინეობა. გამოცდები და გამოშვება მოხდა 2 მაისს. კომისიამ კარგი შთაბეჭდილება გამოიტანა ამხანაგების საერთო მომზადებიდან.

წითელ არმიელებს, რომლებმაც კარგად ჩააბარეს გამოცდები და ისახელეს თავი, დაურიგდათ საჩუქრები: რვეულები, ფანქრები, ქაღალდები, კალმები, წიგნები და სხვა.

დასასრულ საზეიმო გამოშვების გამო ამხანაგებს სიტყვით მიმართა პოლიტხელმა და მოუწოდა მათ განაგრძონ დაწყებული მუშაობა, ენერგიულად მოჰკიდონ ხელი თვითგანვითარების საქმეს, რათა შესაფერად გამოიყენონ წითელ ყაზარმაში მიღებული ცოდნა. სამხკორი იმერლიშვილი

# საშიშია თუ არა ჩვენთვის ბურჟუაზიული ქვეყნების განვითარებული სამხედრო ტეხნიკა?

მსოფლიო ბურჟუაზია გაფაციცებით ემზადება ომისათვის. განიარაღების შესახებ კონფერენციები—სინამდვილეში შეიარაღებას ნიშნავს. ისინი მხოლოდ კბილებს უსინჯავენ ერთმანეთს ამ კონფერენციების დროს.

საკავშირო რესპუბლიკების სამხედრო აკადემიის წარმომადგენელმა ამხ. ვერხოვსკიმ შემდეგი განაცხადა ბურჟუაზიულ ქვეყნების შეიარაღების შესახებ:

—თანამედროვე ომის სამი ვეშაპი—არტილერია, ავიაცია და ქიმია—ძლიერ შეიცვალენ მსოფლიო ომის შემდეგ.

თუ არმიის რიცხვი ყველა ქვეყნებში შემცირებული იქნა რამოდენიმეთ, სამაგიეროდ გაიზარდა მათი საომარი სიძლიერე და უნარიანობა.

ამ ჟამად არტილერია ყველაზე მნიშვნელოვანი შეიარაღებაა. ის ორჯერ უფრო გაუმჯობესებული იქნა. მისი მოხვედრის სიშორე აღწევს დაახლოებით 12 ვერსამდე.

საფრანგეთის არსენალებში იმჟამად 12 ახალი ზარბაზანია, რომელთა საერთო დაშენა სრულიად დაფარავდა და გადახნავდა უზარმაზარ მოედანს 125 ვერსის სივრცით.

მეტად ვითარდება ამჟამად ავიაცია და ქიმიაც. მათი ძალა დიდია. ჰაერში 30 კაცს შეუძლია გასწიოს მიწაზე მყოფ 4000 არტილერისტის მაგივრობა. ავიაციას შეუძლია არა მარტო დღისით, არამედ ღამითაც გააჩეროს ხმელეთის არმიის მოძრაობა. რაც შეეხება ჩვენს საჰაერო და ქიმიურ ძალების მდგომარეობას ისინი ძლიერების მხრივ არ ჩამორჩებიან უკან ჩვენი უახლოესი—მოსაზღვრე მეზობლების (რუმინეთი, პოლონეთი და სხვა) საჰაერო და ქიმიურ ძალებს. ამ მხრივ ჩვენს ტერიტორიაზე თავდასხმა არც იმდენ საშიშროებას წარმოადგენს.

საფრანგეთის ავიაცია ძლიერი და უძლევია 900 ვერსიან ფრონტზე. ჯავშნოსანი და ტანკოსანი რაზმები მოქმედებენ 125 ვერსიან ფრონტზე; მაგრამ საბჭოთა კავშირის საზღვრები, მისი სივრცე ერთობ დიდია იმისთვის, რომ ის გადალახოს დასავლეთის ტეხნიკამ. მაგრამ ჩვენს წინაშე სდგას ამოცანა—რაც შეიძლება მეტი ყურადღება მივაქციოთ სამხედრო აღმშენებლობას—წითელ არმიის თავდაცვის უნარიანობას და მაშინ არ იქნება საზიში ჩვენთვის დასავლეთ კაპიტალისტების ტეხნიკურად ძლიერი არმიები“.

# ტერშეკრებისათვის

მე-4 ქართული მსროლელი ლეგიონი აცხადებს, რომ ა. წ. 15 მაისიდან ჩატარდება სამხედრო მომზადება შემდეგ კატეგორიებისა:

1) 1903 წ. დაბ. ახალწვეულების, რომლებიც მიწერილნი არიან ლეგიონზე, როგორც წარსულ და აგრეთვე მიმდინარე წლებში.

2) 1902 წ. დაბ. იმ ცვალებად შემადგენლობის წ. არმიელებისა, რომლებსაც სამხედრო სამსახური სრულებით არ გაუვლიათ.

ზემო აღნიშნული კატეგორიებს ევალებათ გამოცხადდენ თავიანთ ასეულებში (განყოფილებებში) შემდეგ რიცხვებისათვის.

1) გორის მაზრის—14 მაისს—8 საათზე.
2) ცხინვალის —14 „ 8 „
3) შორაპნის მაზ. 13 „ 8 „
4) ახალციხის 12 „ 8 „
5) ახალქალაქის 11 „ 8 საათზე.

პირველი კატეგორიის შემადგენლობის მომზადება ჩატარდება 75 დღეში ე. ი. 15 მაისიდან 1-ლ აგვისტომდე, და მეორე კატეგორიის კი 30 დღე. ე. ი. 15 მაისიდან 15 ივნისამდე.

ამრიდებლების წინაამდეგ მიღებული იქნება სათანადო ზომები.

დრ. ლეგმეთაური და სამხკომი ბელოვი.

შტაბის უფროსი ბერუჩაშვილი.

# გასამხედროებულ სოფლებში

სოფ. ლების სამხედრო კუთხე.

ლების სამხედრო კუთხე მოეწყო ონში მდგომ 4-ხე ლეგიონის ასეულის თაოსნობით. კუთხემ დიდი ინტერესი გამოიწვია ადგილობრივ მოსახლეობაში, განსაკუთრებით მეტათ ეტანებიან ახალგაზრდობა. ხელმძღვანელი ყოველ შაბათობით ატარებს საუბრებს და უკითხავს კუთხეში თავმოყრილ ხალხს სამხედრო ხასიათის ლიტერატურას. ამასთანავე ერთად ის ასწავლის მსმენელებს თოფს, მის ნაწილებს, აირმსპობი ნიღაბების მოხმარებას.

მეცადინეობაში ჩაბმული არის 30 კომკავშირელი—და სოფლის უპარტიო ახალგაზრდობა.

კუთხე მეტად ნაყოფიერად აწარმოებს მუშაობას. მალე შესძლებს ის დასახულ მიზნის მიღწევას.

სამხკორი გ. ლობჟანიძე.

# პოლიტგამოცდები კარგათ ჩატარდა

მე-2 ლეგ. 9 ასეული.

ასეულში 28 აპრილს იქნა ჩატარებული გამოცდები პოლიტ და საერთო ცოდნაში, გამოცდებში მონაწილეობას ღებულობდენ როგორც ახალი, ისე ძველი წითელ არმიელები. საერთოდ წარმატებით იქნა ჩატარებული გამოცდები. წითელ არმიელებმა კარგი მომზადება გამოიჩინეს, როგორც პოლიტიკურ, ისე საერთო განათლების საგნებში. პროგრამის შეთვისება დამაკმაყოფილებელია. კომისიამ დიდი მადლობა გადაუხადა, როგორც ხელმძღვანელებს, ისე წითელ არმიელებს, რომლებიც ენერგიულად მოეკიდენ მუშაობას და გაამართლეს თავისი მეთაურების იმედები.

სამხკორი კახელი.

# წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაცია

მე-6 ლეგიონი.

მე-6 ლეგიონში, ენერგიულათ მიმდინარეობდა წერა-კითხვის უცოდინართა შორის სალიკვიდაციო მუშაობა. დიდი მონდომებული იყვნენ თვით წ. არმიელები თავიანთ სწავლის საქმეში, მაგრამ არა ნაკლები დაინტერესება ეტყობოდა თავის მხრით, წერა-კითხვის უცოდინართა საერთო ხელმძღვანელს.

ამ რამოდენიმე დღეების წინ ჩატარდა მათი გამოცდები. შეფასებამ ნათელჰყო სასურველი შედეგები. ორ მაისს ლეგიონის კლუბში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელზედაც მოხდა გამოშვება წ. კ. უცოდინართა ჯგუფებში მყოფ წ. არმიელების.

ნაწილში არ დარჩენილა არც ერთი წ. არმიელი წ. კ. უცოდინარი.

სულ წ. კითხვა ისწავლა 88 კაცმა, მხოლოდ ამათგან წარმატებით დაამთავრა 30, რომლებსაც საზეიმო სხდომის დროს დაურიგდათ სხვა და სხვა საჩუქრები.

საზეიმო სხდომაზე სხვებთან, ერთად გამოვიდნენ და მისასალმებელი სიტყვები სთქვეს, წ. არმიელებმა, რომლებმაც წ. კითხვა აქ, წითელ ყაზარმაში ისწავლეს.

თამამათ შეიძლება ითქვას რომ წ. კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმე პირნათლად არის შესრულებული მე-6 ლეგიონის სკოლისა და შეერთებულ ასეულებში.

სამხკორი ბ. ბარამიძე.

# ჩვენი საქმიანობიდან

1-ლი ლეგ. 2 ასეული.

ასეულში ამ უკანასკნელად დიდი მუშაობა სწარმოებს. ყოვ[ელ] კვირაში იმართება ლიტერატურული გასამართლებები. ჩამოყა[ლი]ბებულია სხვა და სხვა ხასიათის წრეები, რომლებშიდაც სისტ[ემა]ტიურად სწარმოებს მუშაობა. ხელმძღვანელები კარგად უძღვებ[ი]ან დავალებულ საქმეს.

კარგად მუშაობს სამხკორთა წრე. დრამატიული წრეც [არ] რჩება უკან. 29 აპრილს წრემ საკუთარი ძალებით—წითელ არმ[იე]ლებით დასდგა „არსენა“, რომელიც დამაკმაყოფილებლად იქნა [ჩა]ტარებული.

მეთაურები კარგ ხელმძღვანელობას გვიწევენ.

სამხკორი კანკათელი.

# ჩვენი ფეხბურთელთა ჯგუფი.

მე-4 ლეგ 9 ასეული.

დიდი ხანი არ არის რაც ასეულში ჩამოყალიბდა ფე[ხ]ბურთელთა წრე. შევიძინეთ ბურთი, ავირჩიეთ ხელმძღვან[ე]ლი და დაიწყო მეცადინეობა. თამაშის დროს ვიყოფით ო[რ] ჯგუფად და ვაწარმოებთ შეჯიბრს. მოდიან ახლო სოფლებ[ის] მცხოვრები ცვალებადელები და ხშირად მათაც ვაღებინებ[თ] მონაწილეობას.

რამოდენიმე კვირა კიდევ და ჩვენი წრე დახელოვნებ[უ]ლი გამოვა იმ ზომამდე, რომ შევსძლებთ შევეჯიბროთ სხ[ვა] ნაწილების ფეხბურთელთა ჯგუფებს.

განზრახულია სათანადო ტანსაცმელის შეძენაც.

სამხკორი იმერლიშვილი.

# გაზ. „წითელ-არმიელის“ ხელის მომწერლების საყურადღებოთ.

რედაქცია ამით გაცნობებთ, რომ გაზეთის გამოწერ[ის] დროს მისამართები უნდა იწერებოდეს გარკვევით, უნდა აღ[]ნიშნოს რკ. გზ. სადგ., მაზრა და სოფელი; უამისოთ რედ[ა]ქცია პასუხისმგებელი არ არის გაზეთების მიუღებლობაზე.

# ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ ქართულ დივიზიის შტაბის და პოლიტგანყოფილების კ[ომ]მუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადებები პარტიაში მისაღებ[ად] შემდეგ ამხანაგებს:

1) მარგალიტაძე ვასილი ვლადიმირისძეს (1-ლ ქართულ დ[ივიზიის] შტაბის სამწყობრო ნაწილის საქმის მწარმოებელი უპარტიო) თხ[ოვ]ულობს კომპარტიის კანდიდატად მიღებას და 2) ჩიხლაძე სამსო[ნ] ტარასისძეს (1-ლ ქართულ დივიზიის შტაბის სამწყობრო ნაწილ[ის] უფროსი კომპარტიის კანდიდატი 1924 წ.) თხოულობს კომპარტი[ის] წევრად გადარიცხვას.

თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო გაქვთ ამხანაგების პარტია[ში] მიღების შესახებ, გვაცნობეთ ამის გამოქვეყნების დღიდან ერ[თი] კვირის განმავლობაში შემდეგი მისამართით; ქალაქ ქუთაისი 1-[ლ] ქართულ დივიზიის შტაბის და პოლიტგანყოფილების კომ-უჯრედ[ის] მდივანს.

კომუჯრედი.

პირ. ქარ. ცხენ. ლეგ. პირ. ესკადრონის კომუჯრედში შემო[]ტანილი აქვს განცხადება პარტიის კანდიდატს, კამკამიძე ნიკოლ[ო]ზს პარტიის წევრად მიღების შესახებ.

კომუჯრედი სთხოვს ყველა იმ პირთ ვისაც რაიმე საწინააღ[მ]დეგო აქვს ამხანაგის პარტიის წევრად მიღების შესახებ გვაცნობო[ს] ორი კვირის განმავლობაში.

კომუჯრედის მდივანი სტუროუა.

1-ლ ქართულ მსროლელ ლეგიონის მე-4 ასეულის კომკავშ[ი]რში, აქვს შემოტანილი განცხადება, უპარტიო წითელ არმიელებ[ს] 1) მაისურაძე ალექსანდრეს, 2) კანკავა მიხეილს, და 3) ჯაფ[ა]რიძე მიხეილს კომკავშირში მიღების შესახებ.

თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო გაქვთ, გთხოვთ გვაცნობო[თ] ერთი კვირის განმავლობაში.


# რა ღირს „წითელი არმიელი“!!

ცალკე ხელის მომწერთათვის:

1 თვით — 50 კაპ.
3 თვით — 1 მ. 35 კ.
6 თვით — 2 მ. 50 კ.
12 თვით — 5 მან.

წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელის-მოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

1 თვით — 40 კაპ.
3 თვით — 1 მ. 10 კ.
6 თვით — 2 მ.
12 თვით — 3 მ. 80 კაპ.

ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის


ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. დრ. პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ადამაძე.